



# რა უნდა ვიცოდეთ ბრუცელოზის შესახებ



ბრუცელოზი (Brucellosis) ადამიანისა და ცხოველის საშიში ინფექციური დაავადებაა. თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი ამ ინფექციისგან, რა სიმპტომები ახასიათებს დაავადებას და როგორ მოვიქცეთ ცხოველებში ბრუცელოზზე ვეტის მითანის შემთხვევაში, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე, საქართველოს მთავარი ვეტერინარი მიხეილ სოხაძე საუბრობს.

## - რა არის ბრუცელოზი და როგორ ვრცელდება დაავადება?

- ბრუცელოზი ქრონიკულად მიმდინარე ადამიანისა და ცხოველის ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა. დაავადება ვრცელდება ინფიცირებულ ცხოველთან კონტაქტით, დაინფიცირებული რძისა და რძის პროდუქტების გამოყენებით, ავადმყოფი ცხოველის დაკვლის და მისი ტან-ხორცის, ტყავის, მატყლის დამუშავებისას. დაინფიცირების ყველაზე მეტი საშიშროება საშინაო (მშობიარობის, მომკლავის შეჩერების და სხვა) დახმარების დროს იქმნება. დაავადებული ცხოველი უნდა დაიკლას. ბრუცელოზით დაავადებული ადამიანი არ წარმოადგენს ინფექციის წყაროს.

ბრუცელოზით დაავადებული ცხოველი მიკრობებს შარდთან და რქესთან ერთად გამოყოფს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მიკრობი გამოიყოფა მოგების (მშობიარობის) დროს; შედეგად, ინფიცირდება სადგომი, მოვლის საგნები, საკვები, წყალი და სხვა, რაც იწვევს ჯანმრთელი ცხოველების დაინფიცირებას.

ბრუცელოზი დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას.

## - რა სიმპტომები ახასიათებს ბრუცელოზს?

- ცხოველებში დაავადება, ძირითადად, უსიმპტომოდ მიმდინარეობს ან ვლინდება აბორტებით; ხშირად ადგილი აქვს მასტიტებს (ცურის ანთება), უნაყოფობას. დაავადება ადამიანებშიც ხშირად უსიმპტომოა ან ცვალებადი კლინიკური ნიშნებით ახასიათდება. ბრუცელოზის ინკუბაციური (ფარული) პერიოდი ერთი კვირიდან რამდენიმე თვემდე გრძელდება. ახასიათებს ცხელება, მოგადი სისუსტე, სახსრების, კუნთების და თავის ტკივილი, ოფლიანობა, წონის დაკლება, უძილობა, დეპრესია.

## - როგორ ავირიდოთ თავიდან ბრუცელოზი?

- ბრუცელოზის თავიდან ასაცილებლად არ უნდა მიიღოთ თერმულად დაუმუშავებელი ცხოველური პროდუქტები - უმი ან არაპასტერიზებული რძე და რძის პროდუქტები. ბრუცელოზის აღმძვრელი (გამომწვევი) 60 გრადუსზე გაცხელებისას 30 წუთში იღუპება. ადუღება ბაქტერიას მომენტალურად კლავს. ყველში ბაქტერია 25 დღიდან 1 წლამდე, ხოლო გარემოში რამდენიმე თვის განმავლობაში ძლებს.

ცხოველების მოვლისას, განსაკუთრებით მშობიარობის დროს, რეპროდუქციულ ქსოვილებთან (ახალდაბადებული ან აბორტირებული ხბო) შეხებისას, ხორცის დამუშავებისას აუცილებელია დამცავი ტანსაცმლის - ხელთათმანი,

წინსაფარი, ნიღბი, ბოტები - გამოყენება.

## - როგორ უნდა მოვიქცეთ ცხოველებში დაავადებაზე ვეტის მითანის შემთხვევაში?

- დაავადებაზე ვეტის მითანის შემთხვევაში, მაგალითად, აბორტის დროს, არ შეუხეთ ცხოველს შიშველი ხელებით, თვითნებურად არ დამარხოთ ან გადააგდოთ ნაყოფი და დაუკავშირდით ვეტერინარ ექიმს, რომელიც კვლევისთვის ნიმუშებს აიღებს.

## - როგორ დავინდებო დაიგნოზი?

- ცხოველებში ბრუცელოზის დასადგენად საჭიროა სისხლის სინჯების, ხოლო აბორტის შემთხვევაში - ნაყოფის და სანაყოფე გარსების ლაბორატორიული გამოკვლევა.

დაავადების დადგენის შემთხვევაში, ცხოველი უნდა დაიკლას სასაკლაოზე, ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ, რა დროსაც გაირკვევა, როგორ უნდა მოხდეს ხორცის გამოყენება.

## - რა ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო დაავადების პრევენციისთვის?

- დაავადების პრევენციის და კონტროლის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სისხლის სინჯების აღებას და გამოკვლევას, ასევე, დაავადებული ცხოველის დაკვლაზე ზედამხედველობას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და გავროს სურსათისა და სოფლის

მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შორის, 2015 წელს, ხელი მოეწერა შეთანხმება „ბრუცელოზის პრევენციისა და კონტროლის პროგრამის ტექნიკური დახმარების შესახებ“, რაც ბრუცელოზის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალმხრივი სტრატეგიის განხორციელებას და კომპლექსური ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს.

FAO-ს საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციებით, იგეგმება ბრუცელოზის სანინაღმდეგო მასშტაბური ღონისძიებები, კერძოდ, სისხლის ნიმუშების აღების და დაავადებული ცხოველის გამოვლენის შემდეგ, ჯანმრთელი მსხვილფეხა და წვრილფეხა მდედრი არამაკე საქონლის ბრუცელოზის სანინაღმდეგო ვაქცინაცია მაღალეფექტიანი და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული ვაქცინით (წვრილფეხა საქონლის შემთხვევაში - თვალში ჩანვეთების გზით), მსხვილფეხა საქონლის დიაგნოსტიკური გამოკვლევები და ვაქცინირებული საქონლის სერომონიტორინგი. აღნიშნული ღონისძიებები მკვეთრად შეამცირებს ქვეყანაში ბრუცელოზის გავრცელების საფრთხეს.

## - დაბოლოს, რას ურჩევთ ცხოველის მებატონეებს?

- იმისთვის, რომ დავიცვათ ცხოველის ჯანმრთელობა და არც გარემომცველებს შევექმნათ საფრთხე, აუცილებელია მასზე მუდმივი ზედამხედველობა. ითანამშრომლეთ ვეტერინართან, რომელიც გაგიწევთ საჭირო კონსულტაციას და დაგეგმარებათ ცხოველისა და ადამიანისთვის საშიში ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

